

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი  
“მეთხილე ფერმერთა კავშირი”  
Non-entrepreneurial (non commercial) legal Entity  
„Hazelnut Farmers Union”.

წესდება

თბილისი  
2020

## წესდება

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “ მეთხილე ფერმერთა კავშირი ”

### თავი 1. ზოგადი დებულებები;

#### მუხლი 1. რეკვიზიტები

- 1.1 მეთხილე ფერმერთა კავშირი (შემდგომში - კავშირი) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
- 1.2 სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
- 1.3 საზოგადოების სახელწოდებაა ქართულად: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი **მეთხილე ფერმერთა კავშირი**, ინგლისურად: Non-entrepreneurial (non commercial) legal Entity „Hazelnut Farmers Union”.
- 1.5 იურიდიული მისამართი: თბილისი, ყაზბეგის გამზირი # 44; მე-6 სართული, (შპს "სტარკომი" ს/კ:204981092 დირექტორი და დამფუძნებელი - დავით ზალიკაშვილი)
- 1.6 ორგანიზაციის ელექტრონული ფოსტის მისამართი: [office@hfu.ge](mailto:office@hfu.ge);
- 1.7 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

#### მუხლი 2. კავშირის მიზნები და საქმიანობა:

##### 2.1. კავშირის მიზნებია:

1. თხილის პირველადი წარმოების, დასაწყობების და გადამუშავების განვითარების ხელშეწყობა საქართველოში;
2. თხილის რეალიზაციის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა-შეფასება-ანალიზი, მარკეტინგული კვლევები;
3. ცნობიერების, გამოცდილების დონის ამაღლება თხილის წარმოების, რეალიზაციის მიმართულებით;
4. თხილის მწარმოებელთა სწავლება-სტაჟირება, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ექსტენცია;
5. თხილის პირველად მწარმოებელთა კოოპერატივების შექმნის ხელშეწყობა;

6. თხილის მწარმოებელთა უფლებების დაცვა;
7. კანონშემოქმედება;
8. სხვა კანონით ნებადართული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია კავშირის სხვა მიზნებთან.

## 2.2. წესდებაში მოცემული მიზნების მისაღწევად კავშირი:

1. თანამშრომლობს სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სახელისუფლებო სტრუქტურებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ დონორებთან;
2. ადგენს ორგანიზაციულ სტრუქტურას და ქმნის რეგიონალურ ქსელს, ახორციელებს სხვადასხვა პროექტებსა და პროგრამებს;
3. ამყარებს ურთიერთობას საერთაშორისო პროფესიულ ასოციაციებთან და გაერთიანებებთან;
4. ამყარებს ურთიერთობას საერთაშორისო ბითუმად მოვაჭრეებთან;
5. ატარებს ტრენინგებს, კონფერენციებს, პრეზენტაციებს, ფესტივალებს, კონკურსებს და სხვადასხვა სახის აქციებს;
6. მონაწილეობას იღებს საერთაშორისო ორგანიზაციათა პროგრამებსა და კონკურსებში, ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში;
7. გამოდის პროგრამებისა და კონკურსების ინიციატორად;
8. ახორციელებს საკონსულტაციო მომსახურებას.
9. ეწევა საინფორმაციო და კვლევით საქმიანობას;
10. აარსებს ბეჭდვით და ელექტრონულ მედია საშუალებებს;
11. ეწევა დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომელიც არ ცვლის მისი, როგორც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხასიათს. ამგვარი საქმიანობით მიღებული შემოსავალი ხმარდება მხოლოდ კავშირის მიზნების განხორციელებას;
12. ეწევა სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

2.3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

2.4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

### მუხლი 3. კავშირის დამფუძნებლები

#### 3.1 საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

1. დიმიტრი ალექსიძე, 01031000775, ქ. თბილისი, ცინცაძის ქ. N30, ბინა 55, დაბ. თარ. 15.07.1979
2. ჯენერ ბელქანია, 62006027019, ქ. ზუგდიდი, სოფ. რუხი, დაბ. თარიღი - 23.12.1973
3. ზვიადი ბრეგვაძე, 01001006444, ქ. თბილისი, კოტე ფოცხვერაშვილის N14, დაბ. თარიღი - 20.10.1964
4. გიორგი გოთოშია, 01024011041, ქ. თბილისი, გაზაფხულის ქ. N12, ბინა 16, დაბ. თარიღი - 24.11.1966
5. გიორგი გოთოშია, 02001004011, აბაშა, სოფ. გაუწყინარი, ქუჩა N3, სახლი 2, დაბ. თარიღი - 23.07.1975
6. მანანა გოჩიტაშვილი, 01006016332, ქ. თბილისი, დიდმის მასივი, მე-3 კვარტალი, კორპუსი N11, ბინა 22, დაბ. თარიღი - 15.03.1967
7. დავით ესაკია, 01010006699, თბილისი, ნუცუბიძის 3 მ/რ, 3 კვ, კორპუსი 8, ბინა 31, დაბ. თარიღი - 03.04.1975
8. ანა ვარდოშვილი, 01006006060, ქ. თბილისი, დიდმის მასივი, მე-3 კვარტალი, კორპუსი N36, ბინა 62, დაბ. თარიღი - 28.03.1972
9. ირაკლი ივანელაშვილი, 01008022362, ქ. თბილისი, ვ. პეტრიაშვილის N33, დაბ. თარიღი - 09.10.1983
10. მარიკა კოდუა, 19001101094, ქ. ზუგდიდი, სოფ. დარჩელი, დ. აღმაშენებლის N98, დაბ. თარიღი - 12.12.1992
11. დავით ლიპარტელიანი, 01024007418, ქ. თბილისი, თარხნიშვილის N27, ბინა 21, დაბ. თარიღი - 19.11.1966
12. სოლომონი ნერსეაშვილი, 45001000641, ქ. ყვარელი, სოფ. ენისელი, დაბ. თარიღი - 01.01.1969
13. დიმიტრი რეხვიაშვილი, 01009012805, ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ. N211, კორპუსი 4, ბინა 10, დაბ. თარიღი - 09.05.1973
14. ირაკლი ფელანგია, 62001036646, ქ. თბილისი, ხომლის ქ. N11, ბინა 31, დაბ. თარიღი - 08.06.1987
15. ოთარი შეროზია, 35001061896, ქ. რუსთავი, გ. ლეონიძის ქ. N24, ბინა 59, დაბ. თარიღი - 30.05.1986
16. შალვა ჩხენკელი, 42001000613, ქ. თბილისი, ტირიფების ქ. N2, ბინა 5, დაბ. თარიღი - 22.12.1978
17. დავითი ხუროძე, 01024003091, ქ. თბილისი, მცხეთის ქ. N42, დაბ. თარიღი - 18.09.1968
18. სანდრო ნოზაძე, 01024037048, ქ. თბილისი, სულხან ცინცაძის N30, ბინა N9, დაბ. თარიღი - 11.10.1984

3.2 დამფუძნებელი უფლებამოსილია:

ა) შექმნას პირველი გამგეობა;

ბ) დანიშნოს კავშირის პირველი აღმასრულებელი დირექტორი და გამგეობის თავმჯდომარე;

გ) გადააყენოს გამგეობის წევრები დამფუძნებელთა 2/3 -ის თანხმობით, რასაც საფუძვლად შეიძლება დაედოს გამგეობი წევრის მიერ კავშირის წესდების უხეში დარღვევა.

## თავი2. კავშირის წევრობა

### მუხლი 4. კავშირის წევრი

4.1 კავშირის წევრი შეიძლება გახდეს:

ა) ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს მინიმუმ 15 ჰა თხილის გაშენებული ბაღი;

ბ) კომპანია, რომელსაც აქვს მინიმუმ 15 ჰა თხილის გაშენებული ბაღი;

გ) კოოპერატივი, რომელსაც აქვს მინიმუმ 15 ჰა თხილის გაშენებული ბაღი;

4.2 კავშირის წევრობისათვის აუცილებელია კავშირის ორი წევრის რეკომენდაცია;

4.3 კავშირის წევრების მიღების, გასვლის ან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კავშირის გამგეობა წესდების შესაბამისად;

4.4 წევრობის კანდიდატი კავშირის დამფუძნებელ სხდომაზე დასწრების შეუძლებლობის შემთხვევაში, უფლებამოსილია, წესდებაზე ხელმოწერის, კავშირში გაწევრიანებისა და გამგეობის არჩევნებში ხმის უფლება მიანდოს გაწევრიანების მსურველ სხვა კანდიდატს, რომლის უფლებამოსილება დადასტურდება სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე.

4.5 გამგეობა უფლებამოსილია უარი უთხრას პირს კავშირის წევრობაზე, მიუხედავად მის მიერ ამ წესდებით გათვალისწინებული 4.1 და 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისას.

4.6 გამგეობა უფლებამოსილია ინდივიდუალურად განიხილოს 15 ჰა-ზე ნაკლები პლანტაციის მქონე სუბიექტის წევრად მიღებაზე მომართვა და დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, წევრად მიღების მოთხოვნა დააკმაყოფილოს.

4.7 საწევრო შენატანი:

4.7.1 საწევროს ოდენობას განსაზღვრავს გამგეობა.

4.7.2 საწევრო შენატანი განისაზღვრება კავშირის თითოეული წევრისათვის და წარმოადგენს ფიქსირებულ თანხას.

4.7.3 საწევრო შენატანი თანაბარია კავშირის ყველა წევრისათვის, განურჩევლად პლანტაციის სიდიდისა.

4.8 საპატიო წევრი:

4.8.1 კავშირის საპატიო წევრია პირი, რომლის უფლება-მოვალეობები თითოეულ შემთხვევაში განისაზღვრება გამგეობის გადაწყვეტილებით. ამასთან, მას არ აქვს ხმის უფლება.

## **მუხლი 5. კავშირის წევრის უფლებამოსილებები**

5.1 კავშირის წევრი უფლებამოსილია:

ა) წესდების შესაბამისად მიიღოს მონაწილეობა კავშირის მართვაში;

ბ) დაიკავოს კავშირში ნებისმიერი თანამდებობა;

გ) საერთო კრებაზე ისარგებლოს ხმის უფლებით;

დ) მმართველობით ორგანოში შეიტანოს წინადადება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შედის კავშირის კომპეტენციის სფეროში;

ე) მიიღოს ინფორმაცია კავშირის საქმიანობისა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ გამგეობის მიერ დადგენილი წესით;

ვ) გამგეობის მიერ დადგენილი წესით ისარგებლოს კავშირის განკარგულებაში არსებული ყველა რესურსით;

ზ) მიიღოს მონაწილეობა კავშირის მიერ განხორციელებულ პროგრამებში, ღონისძიებებსა თუ პროექტებში; დაესწროს კავშირის საერთო კრებას.

თ) განახორციელოს ნებისმიერი სხვა უფლებამოსილება, რომელიც გამომდინარეობს კავშირის მიზნებიდან და კანონით არაა აკრძალული;

ი) დატოვოს კავშირი;

## **მუხლი 6. კავშირის წევრის მოვალეობები**

6.1 კავშირის წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას კავშირის წესდება და შეასრულოს მმართველობითი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

ბ) გაუფრთხილდეს და დაიცვას კავშირის ავტორიტეტი, სახელი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, ქონება და მის განკარგულებაში არსებული სხვა სიკეთეები;

გ) დათქმულ ვადაში გადაიხადოს საწევრო გადასახადი;

დ) არ გამოიყენოს კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა კავშირში მისი უფლებების განხორციელების შედეგად.

ე) დაიცვას მეთხილე ფერმერთა პროფესიული ეთიკის კოდექსი მისი საერთო კრების მიერ დამტკიცების შემდეგ.

### **მუხლი 7. კავშირის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა**

7.1 კავშირის წევრს უფლებამოსილება შეუწყდება, თუ:

- ა) წარმოადგინა პირადი განცხადება;
  - ბ) მის წინააღმდეგ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე;
  - გ) სასამართლომ ცნო უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;
  - დ) გაწევრიანებისას განზრახ წარმოადგინა არასწორი ინფორმაცია;
  - ე) პირი გაირიცხა კავშირიდან;
  - ვ) პირი გარდაიცვალა.
  - ზ) მან დაარღვია წესდებით ან მმართველობის ორგანოს მიერ წესდების შესაბამისად დაკისრებული რომელიმე ვალდებულება და დარღვევა არ გამოასწორა გამგეობის მიერ განსაზღვრულ ვადაში;
  - თ) მან დადგინილ ვადაში არ გადაიხადა საწევრო შესატანი და ასევე გადააცილა გამგეობის მიერ დამატებით მიცემულ ვადას;
  - ი) მან განახორციელა კავშირის წევრისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს კავშირის რეპუტაციას ან/და ავტორიტეტს.
- 7.2 კავშირის გამგეობა უფლებამოსილია საპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში წევრს შეუჩეროს სტატუსი მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე.
- 7.3 სათანადო პირობების არსებობისას, წესდების შესაბამისად შეჩერებული წევრის სტატუსი აღდგება გამგეობის გადაწყვეტილებით შეჩერების საფუძველის აღმოფხვრის შემდეგ.

## **თავი 3. კავშირის მმართველობითი ორგანო**

### **მუხლი 8. საერთო კრება**

- 8.1 საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს კავშირის წევრთა საერთო კრება;
- 8.2 საერთო კრების წევრია კავშირის ყველა მოქმედი წევრი;
- 8.3 საერთო კრება მოიწვევა წელიწადში ერთხელ კალენდარული წლის დასრულებიდან 2 თვის ვადაში;

8.4 საერთო კრების ჩატარების ზუსტ თარიღს განსაზღვრავს და 2 კვირით ადრე კრების დღის წესრიგთან ერთად წევრებს ატყობინებს გამგეობა ელექტრონული ფოსტის ან ტელეფონის მეშვეობით;

8.5 კავშირის ნებისმიერ წევრს უფლება შეტყობინების დღიდან 2 დღის ვადაში დღის წესრიგის პროექტის ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით გამგეობისგან მოითხოვოს განმარტება, გამოთქვას მოსაზრებები ან მოითხოვოს დღის წესრიგის პროექტში დამატებითი საკითხების შეტანა, რომლებიც შესაბამისობაში უნდა იყოს კავშირის მიზანთან.

### **მუხლი 9. რიგგარეშე კრება**

9.1 კავშირის მიზნებიდან გამომდინარე ნებისმიერ დროს შეიძლება ჩატარდეს რიგგარეშე კრება, რომლის მოწვევის უფლება აქვს:

ა) კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს;

ბ) გამგეობას;

გ) კავშირის წევრთა არანაკლებ 10%-ს.

9.2 თუ რიგგარეშე კრების მოწვევის ინიციატორი გამგეობის თავმჯდომარე ან გამგეობაა, ისინი თავად განსაზღვრავენ კრების დღის წესრიგსა და კრების ჩატარების თარიღს, რის შესახებაც ორი კვირით ადრე ატყობინებენ კავშირის წევრებს.

9.3 კავშირის წევრების ინიციატივით რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის შემთხვევაში ისინი განსაზღვრავენ დღის წესრიგსა და მიმართავენ გამგეობას. გამგეობა მე-2 პუნქტში განსაზღვრული წესით ნიშნავს კრებას, რის შესახებაც ატყობინებს სხვა წევრებს.

### **მუხლი 10. გადაწყვეტილების მიღება საერთო კრების მიერ**

10.1 საერთო კრება უფლებამოსილია თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

10.2 საერთო კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით (არანაკლებ სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი), თუ წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი;

10.3 კავშირის წევრი უფლებამოსილია, საერთო კრებაზე დასწრების შეუძლებლობის შემთხვევაში, საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის უფლება მიანდოს კავშირის სხვა წევრს სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე.

10.4 თუ კრება არ არის უფლებამოსილი დამსწრე წევრთა არასაკმარისი რაოდენობის გამო, მოიწვევა ახალი კრება ამ წესდებით დადგენილი წესით;

10.5 ხელახალი კრების მოწვევის შემთხვევაში, კრება უფლებამოსილია დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, დამსწრეთა ნახევარზე მეტის თანხმობის შემთხვევაში;

10.6 ხმის მიცემა ხდება ღია კენჭისყრით, გარდა ამ წესდებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

10.7 გამგეობაში წევრების არჩევის შესახებ კენჭისყრა ჩატარდება ფარულად. გამგეობა ვალდებულია მიიღოს ყველა საჭირო ზომა კენჭისყრის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის;

10.8 კავშირის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა.



## **მუხლი 11. საერთო კრების კომპეტენცია**

11.1 საერთო კრება უფლებამოსილია:

- ა) შეიტანოს ცვლილებები და დამატებები კავშირის წესდებაში;
- ბ) აირჩიოს და გადააყენოს გამგეობის წევრები;
- გ) მიიღოს გადაწყვეტილება კავშირის რეორგანიზაციის ან/და ლიკვიდაციის შესახებ;
- დ) დაამტკიცოს კავშირის ბიუჯეტი;
- ე) დაამტკიცოს მეთხილე ფერმერთა პროფესიული ეთიკის კოდექსი და დისციპლინური წარმოების წესი;
- ვ) დაამტკიცოს აუდიტორი;
- ზ) მოისმინოს, განიხილოს და დაამტკიცოს გამგეობისა და აღმასრულებელი დირექტორის ანგარიშები;
- თ) მიიღოს, ცვლილებები შეიტანოს ან გააუქმოს საერთო კრების რეგლამენტი;
- ი) კავშირის მიზნებიდან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც კავშირის შიდა აქტების შესაბამისად განეკუთვნება მის კომპეტენციას.

## **მუხლი 12. საერთო კრების წარმართვა**

12.1 საერთო კრებას უძღვება გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც კრების გახსნისთანავე ასახელებს კრების მდივანს. გამგეობის თავმჯდომარის არყოფნისას კრებას გაუძღვება გამგეობის დამსწრე უხუცესი წევრი.

12.2 სხდომის თავმჯდომარე:

- ა) აუწყებს საერთო კრებას სხდომის გახსნასა და დამთავრებას;
- ბ) უძღვება სხდომას;
- გ) უზრუნველყოფს კავშირის წესდებისა და საერთო კრების პროცედურების დაცვას;
- დ) განსაზღვრავს სიტყვით გამომსვლელთა რიგითობას;
- ე) კენჭისყრაზე აყენებს საკითხს და აცხადებს მის შედეგებს;
- ვ) ახორციელებს წესდებით და კავშირის აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

12.3 საერთო კრების სხდომის მდივანი აწარმოებს სხდომის ოქმს, ხელს აწერს მას და ახორციელებს კავშირის აქტებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას. საერთო კრების მდივანი ანგარიშვალდებულია კავშირის აღმასრულებელი დირექტორის წინაშე.

12.4 თუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული საერთო კრების გადაწყვეტილება ძალაში შედის მას შემდეგ რაც ოქმს ხელს მოაწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. ოქმში უნდა აისახოს:

- ა) სხდომის დრო და ადგილი;
- ბ) კრების თავმჯდომარისა და მდივნის/მდივნების ვინაობა;
- გ) სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა;
- დ) დღის წესრიგი;
- ე) კენჭისყრის შედეგები;
- ვ) მიღებული გადაწყვეტილებები.

#### **თავი 4. კავშირის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა**

##### **მუხლი 13. გამგეობა**

13.1 კავშირს ხელმძღვანელობს გამგეობა, კოორდინაციასა და კონტროლს უწევს კავშირის საქმიანობის ნებისმიერ მიმართულებას და უზრუნველყოფს საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას.

13.2 გამგეობა შედგება 9 წევრისგან, რომელიც აირჩევა კავშირის წევრებისგან საერთო კრების მიერ დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, გამგეობის წევრთა საქმიანობა არ არის ანაზღაურებადი.

13.3 გამგეობის წევრობის კანდიდატების წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერ წევრს. კანდიდატები და მათი წერილობითი თანხმობა გამგეობის წევრად არჩევაზე წარედგინება გამგეობას შესაბამისი საერთო კრების ჩატარებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა.

13.4 არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ხმათა ყველაზე მეტ რაოდენობას. იმ შემთხვევაში, თუ 2 ან მეტი კანდიდატი მიიღებენ ხმათა თანაბარ რაოდენობას და ასეთი კანდიდატების რიცხვი უფრო მეტი იქნება, ვიდრე ვაკანტური ადგილები, მაშინ ასეთ კანდიდატებს შორის ჩატარდება დამატებითი კენჭისყრა, თუ გამარჯვებული მაინც არ გამოვლინდა, ხელმეორე კენჭისყრაში მათ შორის გამარჯვებული გამოვლინდება წილის ყრით.

13.5 გამგეობის ყველა წევრი აირჩევა 2 წლის ვადით. გამგეობის წევრი შეიძლება არჩეულ იყოს განმეორებით შეუზღუდავად.

13.6 გამგეობის წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება:

- ა) საკუთარი ნებით გადადგომის შემთხვევაში;
- ბ) კავშირის წევრობის დაკარგვის შემთხვევაში;
- გ) საერთო კრების გადაწყვეტილებით, ამ წესდებით განსაზღვრული წესით, რასაც საფუძვლად შეიძლება დაედოს მის მიერ კავშირის წესდების უხეში დარღვევა;

დ) დამფუძნებელთა 2/3 -ის გადაწყვეტილებით, რასაც საფუძვლად შეიძლება დაედოს მის მიერ კავშირის წესდების უხეში დარღვევა.

#### **მუხლი 14. კავშირის გამგეობის წევრები**

14.1 კავშირის გამგეობის წევრები არიან:

1. დიმიტრი ალექსიძე, 01031000775, დაბადების თარიღი - 15.07.1979, ქ. თბილისი, ცინცაძის ქ. N30, ბინა 55
2. ზვიადი ბრეგვაძე, 01001006444, დაბადების თარიღი - 20.10.1964, ქ. თბილისი, კოტე ფოცხვერაშვილის N14
3. გიორგი გოთოშია, 01024011041, დაბადების თარიღი - 24.11.1966, ქ. თბილისი, გაზაფხულის ქ. N12, ბინა 16
4. მანანა გოჩიტაშვილი, 01006016332, დაბადების თარიღი - 15.03.1967, ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-3 კვარტალი, კორპუსი N11, ბინა 22
5. ირაკლი ივანელაშვილი, 01008022362, დაბადების თარიღი - 09.10.1983, ქ. თბილისი, ვ. პეტრიაშვილის N33
6. დავით ლიპარტელიანი, 01024007418, დაბადების თარიღი - 19.11.1966, ქ. თბილისი, თარხნიშვილის N27, ბინა 21
7. ირაკლი ფელანგია, 62001036646, დაბადების თარიღი - 08.06.1987, ქ. თბილისი, ხომლის ქ. N11, ბინა 31
8. შალვა ჩხენკელი, 42001000613, დაბადების თარიღი - 22.12.1978, ქ. თბილისი, ტირიფების ქ. N2, ბინა 5
9. დავითი ხუროძე, 01024003091, დაბადების თარიღი - 18.09.1968, ქ. თბილისი, მცხეთის ქ. N42

14.2 გამგეობის წევრები აირჩევიან პარიტეტის პრინციპის საფუძველზე. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში არსებული პლანტაციებიდან წარმოდგენილი უნდა იყოს მინიმუმ ერთ წევრი.

#### **მუხლი 15. გამგეობის უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი**

15.1 გამგეობა ვალდებულია შეიკრიბოს 6 თვეში ერთხელ მაინც. გამგეობის თავმჯდომარე ნიშნავს სხდომის თარიღს და მის ჩატარებამდე 2 დღით ადრე ატყობინებს გამგეობის წევრებს ელექტრონული საკომუნიკაციო არხების საშუალებით (ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი და ა.შ).

15.2 გამგეობა უფლებამოსილია თუ მას ესწრება გამგეობის მინიმუმ 7 წევრი, ხოლო გადაწყვეტილება მიიღება გამგეობის არანაკლებ 6 წევრის თანხმობით.

15.3 გამგეობის სხდომას უძღვება თავმჯდომარე, რომელიც აუწყებს წევრებს სხდომის გახსნასა და დამთავრებას, განსაზღვრავს სიტყვით გამომსვლელთა რიგითობას, კენჭისყრაზე აყენებს საკითხს და აცხადებს მის შედეგებს.

15.4 გამგეობის მოწვევა შეუძლია:

ა) გამგეობის თავმჯდომარეს;

ბ) გამგეობის წევრთა 1/3-ს.

15.5 კავშირის გამგეობა:

ა) წარმართავს და ხელმძღვანელობს კავშირის მიმდინარე საქმიანობის ყველა მიმართულებას;

ბ) შეიმუშავებს კავშირის საქმიანობის პროგრამას;

გ) თანამდებობაზე ირჩევს კავშირის აღმასრულებელ დირექტორს;

დ) წყვეტს კავშირის ახალი წევრების მიღების, წევრობის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის საკითხებს;

ე) შეიმუშავებს კავშირის საბიუჯეტო კონცეფციის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას;

ვ) კონტროლს უწევს თანხების მიზნობრივ განკარგვას;

ზ) აღდგენს წესდებაში განსახორციელებელ ცვლილებების პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას;

თ) წესდების შესაბამისად ნიშნავს საერთო კრების თარიღს და ატყობინებს კავშირის წევრებს;

ი) შეიმუშავებს საერთო კრების დღის წესრიგს და წესდებით განსაზღვრული წესით აცნობს კავშირის წევრებს;

კ) გადაწყვეტილებას იღებს წარმოდგენილი პროექტის დაფინანსებაზე ან სხვა საჭიროებისთვის თანხის გამოყოფაზე კავშირის ქონებიდან;

ლ) იღებს გადაწყვეტილებას პირისათვის კავშირის საპატიო წევრის სტატუსის მინიჭების შესახებ;

მ) აღდგენს საწევრო გადასახადს და განსაზღვრავს მის ოდენობასა და გადახდის წებს;

ნ) მოიძიებს დაფინანსებას კავშირის მიზნებისათვის და უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებულობას კავშირის საქმიანობის შესახებ. ახორციელებს კავშირის მიზნებიდან გამომდინარე სხვა უფლებამოსილებას, რომელიც არ ეწინააღმდეგება წესდებას;

15.6 გამგეობის წევრი უფლებამოსილია გამგეობის კრებას დაესწროს დისტანციურად, ელექტრონული არხების საშუალებით (Skype, Zoom, Cisco Webex ა.შ), თუ შესაძლებელია ამ პირის იდენტიფიცირება, რასაც გამგეობის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი ადასტურებენ კრების ოქმზე ხელმოწერით;

15.6<sup>1</sup> საჭიროების შემთხვევაში, გამგეობის კრება შეიძლება გაიმართოს დისტანციურ რეჟიმში, ელექტრონული არხების საშუალებით (Skype, Zoom, Cisco Webex ა.შ);

15.6<sup>2</sup> კრების დისტანციურ რეჟიმში ჩატარების შემთხვევაში, ელექტრონულად გამოგზავნილ გამგეობის წევრთა წერილობით თანხმობას აქვს იგივე იურიდიული ძალა, რაც ამ წესდებით დადგენილი წესით ჩატარებულ კრების ოქმზე ხელმოწერას;

15.7 კავშირის გამგეობა მის მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს დადგენილების ფორმით, რომელიც ძალაში შედის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერისთანავე.

## **მუხლი 16. გამგეობის თავმჯდომარე**

16.1 გამგეობის თავმჯდომარეა - დავით ხუროძე, პ/ნ 01024003091, დაბადების თარიღი: 18.09.1968, მისამართი: თბილისი, მცხეთის ქ. N42

16.2 გამგეობა, საკუთარი წევრებიდან, დამსწრე წევრთა 2/3 - ით ირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს 2 წლის ვადით. ამ პოზიციაზე დაშვებულია ზედიზედ მხოლოდ 2 ვადით არჩევა.

16.3 გამგეობის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია გამგეობასთან;

16.4 გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობები:

ა) იწვევს და ხელმძღვანელობს გამგეობის სხდომებს;

ბ) გამგეობის გადაწყვეტილებების შესაბამისად, კავშირის სახელით ავრცელებს საჯარო განცხადებებს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით;

გ) ხელმძღვანელობს და ორგანიზებას უწევს გამგეობის საქმიანობას;

დ) ზედამხედველობს გამგეობის გადაწყვეტილებების აღსრულებას;

ე) წარმოადგენს კავშირს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

ვ) წარმართავს კავშირის საქმიანობის დასახული მიზნების შესაბამისად;

ზ) იწვევს და თავმჯდომარეობს გამგეობის სხდომებს;

თ) ხელს აწერს გამგეობის დადგენილებებს;

ი) ახორციელებს კავშირის მიზნებიდან გამომდინარე სხვა უფლებამოსილებებს.

## **მუხლი 17. კავშირის აღმასრულებელი დირექტორი**

17.1 კავშირის სპეციალური წარმომადგენელია აღმასრულებელი დირექტორი - ოთარი შეოზია, 35001061896, 30.05.1986, ქ. რუსთავი, გ. ლეონიძის ქ. N24, ბინა 59;

17.2 კავშირის აღმასრულებელ დირექტორს გამგეობის თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს გამგეობა;

17.3 აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობები:

ა) მოქმედებს კავშირის სახელით და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში, გარდა თავმჯდომარის და გამგეობის უფლებამოსილებას განკუთვნილი საკითხებისა;

- ბ) გაწეული საქმიანობის შესახებ 6 თვეში ერთხელ ანგარიშს აბარებს გამგეობას;
  - გ) გამგეობის მიერ დადგენილი წესით განკარგავს ასოციაციის ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე, ხელს აწერს შესაბამის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას;
  - დ) ამტკიცებს განსახორციელებელ პროექტებს;
  - ე) დებს ხელშეკრულებებს კავშირის სახელით;
  - ვ) ხელმძღვანელობს კავშირის მიმდინარე საქმიანობას, ხელს უწყობს კავშირის ორგანოების კოორდინირებულ და ეფექტურ თანამშრომლობას;
- 17.4 აღმასრულებელი დირექტორი არ შეიძლება იმავდროულად იყოს კავშირის გამგეობის წევრი.
- 17.5 აღმასრულებელი დირექტორის უფლებებსა და მოვალეობებს, ასევე მისი შრომის ანაზღაურების წესს ადგენს გამგეობა.

## **თავი 5. კავშირის ქონება**

### **მუხლი 18. კავშირის ფინანსები და ქონება**

- 18.1 კავშირის შემოსავლები უნდა მოხმარდეს საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.
- 18.2 კავშირის შემოსავლის წყაროა:
- ა) საწევრო შენატანი;
  - ბ) შემოწირულობები;
  - გ) გრანტები;
  - დ) კანონით ნებადართული სხვა საშუალებებით მიღებული შემოსავლები.
- 18.3 გამგეობის თავმჯდომარე უფლებამოსილია ჩამოაყალიბოს კავშირის მხარდამჭერი ფონდები.
- 18.4 კავშირის ქონების განკარგვა ხორციელდება გამგეობის მიერ წესდების შესაბამისად.

### **მუხლი 19. კავშირის აუდიტი**

- 19.1 კავშირის ს ფინანსური საქმიანობის, შემოსავლებისა და ხარჯების შემოწმებისა და კონტროლის მიზნით საერთო კრების მიერ შეიძლება არჩეულ იქნას აუდიტორი.

## თავი 6. დასკვნითი დებულებები

### მუხლი 20. კავშირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

20.1 კავშირის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ხმების 3/5-ით;

20.2 ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს;

20.3 გადაწყვეტილება კავშირის ლიკვიდაციის შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან;

20.4 ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს კავშირის საერთო კრება;

20.5 კავშირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია თუ:

ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმე (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

20.6 თუ საერთო კრება არ განსაზღვრავს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირს, სასამართლო კავშირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციის გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ოქნება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

20.7 ლიკვიდაციას აცორციელებს კავშირის აღმასრულებელი დირექტორი ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

### მუხლი 21. წესდების ამოქმედება

21.1 წინამდებარე წესდება ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის მიერ ხელმოწერის მომენტიდან.

21.2 თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

**მუხლი 22.**

**კავშირის დამფუძნებლების ხელმოწერა:**

დimitრი ალექსიძე  
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)

/ \_\_\_\_\_ /  
(ხელმოწერა)

ჯენერ ბელქანია  
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)  
მინდობილი პირი: ოთარი შეროზია

/ \_\_\_\_\_ /  
(ხელმოწერა)

ზვიადი ბრეგვაძე  
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)  
მინდობილი პირი: ოთარი შეროზია

/ \_\_\_\_\_ /  
(ხელმოწერა)

გიორგი გოთოშია (პ/ნ 01024011041)  
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)  
მინდობილი პირი: ოთარი შეროზია

/ \_\_\_\_\_ /  
(ხელმოწერა)

გიორგი გოთოშია (პ/ნ 02001004011)  
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)  
მინდობილი პირი: ოთარი შეროზია

/ \_\_\_\_\_ /  
(ხელმოწერა)

მანანა გოჩიტაშვილი  
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)  
მინდობილი პირი: ოთარი შეროზია

/ \_\_\_\_\_ /  
(ხელმოწერა)

დავით ესაკია  
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)  
მინდობილი პირი: ოთარი შეროზია

/ \_\_\_\_\_ /  
(ხელმოწერა)

ანა ვარდოშვილი  
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)  
მინდობილი პირი: ოთარი შეროზია

/ \_\_\_\_\_ /  
(ხელმოწერა)

ირაკლი ივანელაშვილი  
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)  
მინდობილი პირი: ოთარი შეროზია

/ \_\_\_\_\_ /  
(ხელმოწერა)

მარიკა კოდუა  
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)  
მინდობილი პირი: ოთარი შეროზია

/ \_\_\_\_\_ /  
(ხელმოწერა)



დავით ლიპარტელიანი  
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)  
მინდობილი პირი: ოთარი შეროზია

/ \_\_\_\_\_ /  
(ხელმოწერა)

სოლომონი ნერსეზაშვილი  
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)  
მინდობილი პირი: ოთარი შეროზია

/ \_\_\_\_\_ /  
(ხელმოწერა)

დიმიტრი რეხვიაშვილი  
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)

/ \_\_\_\_\_ /  
(ხელმოწერა)

ირაკლი ფელანგია  
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)  
მინდობილი პირი: ოთარი შეროზია

/ \_\_\_\_\_ /  
(ხელმოწერა)

ოთარი შეროზია  
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)

/ \_\_\_\_\_ /  
(ხელმოწერა)

შალვა ჩხენკელი  
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)  
მინდობილი პირი: ოთარი შეროზია

/ \_\_\_\_\_ /  
(ხელმოწერა)

დავითი ხუროძე  
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)  
მინდობილი პირი: ოთარი შეროზია

/ \_\_\_\_\_ /  
(ხელმოწერა)

სანდრო ნოზაძე  
(დამფუძნებლის/წევრის სახელი, გვარი)

/ \_\_\_\_\_ /  
(ხელმოწერა)